*დანართი №1*

**სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე**: დავით კუპატაძე |
| **წევრი:** ალექსანდრე რუხაძე |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **222727967**

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ჯერა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 11 სექტემბრის №1197227 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში (მისამართი: ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის საკითხთა განხილვისა და პოზიციების შეჯერების შედეგად განისაზღვრა დასაზუსტებელი თემები და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. შესაბამისად, ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 სექტემბერს (მისამართზე: ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წინამდებარე დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, კერძოდ:

| <u>№</u> | <u>წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა</u> | <u>ინფორმაცია შესრულების შესახებ</u> |
|---|---|---|
| **4.1.1.2** | დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით. | **მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა,** რომ წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობებით მკაფიოდ არის განსაზღვრული დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქცია-მოვალეობები. ამასთან, შესაბამის პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ვალდებულებები შინაარსობრივად სრულ თანხვედრაშია სამუშაო აღწერილობებთან და პერსონალი სრულად არის ინფორმირებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.<br><br>**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| **2.2.1.1** | დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსის მობილიზებაშესაბამისობის გეგმის მიხედვით. | <u>მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში</u> გადამოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წინა ვიზიტისას ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ამჟამად სრულად აღმოფხვრილია: კერძოდ, შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულება რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებით სრულად არის შესრულებული.<br><br>**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **2.2.1.2** | დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით. | **მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ** დაწესებულებამ დაამატა დარგობრივი მოდულის კიდევ ერთი განმახორციელებელი. შესაბამისად, პროგრამის დანართით განსაზღვრული პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის.<br><br>**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| **2.2.1.3** | დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით. | **მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ** წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა პროფესიული უნარების სააგენტოში გაიარეს ტრენინგი თემაზე: „პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“.<br>**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| **2.2.1.5** | დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით. | **მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ** პროგრამაში („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი სრულად ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით. აღნიშნული რესურსები განთავსებულია როგორც პედაგოგთა პერსონალურ კომპიუტერებში, ისე ბიბლიოთეკაში არსებულ, პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილ კომპიუტერში.<br>**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

**III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 20 | 9 | -- | -- |

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

*არ დაფიქსირებულა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

### I. ავტორიზაციის მე-4 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

### IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

### V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

### VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული მიგნებები, რაც დაადასტურა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად, დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №24 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უნარ-ჩვევები:

· **პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი** - პასუხისმგებელია ხარისხის მართვის პროცესებზე, ავტორიზაციის მოთხოვნების შესრულებაზე, შიდა თვითშეფასების ორგანიზებაზე, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების კოორდინაციაზე, პროგრამის რესურსების ხარისხსა და დასაქმების კვლევაზე;

· **პროფესიული განათლების კოორდინატორი** - უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების მხარდაჭერას, მასწავლებლების სამუშაო საათების მართვას, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებსა და დამსაქმებლებთან;

· **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი** - ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს, აკონტროლებს ლაბორატორიებს, სწავლების ხარისხსა და პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინას;

· **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - უშუალოდ ახორციელებს სწავლების პროცესს, შეფასებასა და პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას;

· **პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტი** - უზრუნველყოფს შესყიდვების პროცესის წარმართვას, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებასა და ხელშეკრულებების მართვას;

· **რეესტრის წარმოების სპეციალისტი** - უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სწორ და დროულ აღრიცხვას რეესტრში.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები მკაფიოდ არის გადანაწილებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

წინა ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად დაწესებულების მიერ პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფდნენ ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების ჯეროვან განხორციელებას. აღნიშნული განპირობებული იყო პერსონალისთვის ფუნქცია-მოვალეობების დაზუსტებისა და მათი შესაბამისი ინფორმირების საჭიროებით. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობებით მკაფიოდ არის განსაზღვრული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტისა და რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. ამასთან, პერსონალთან გასაუბრებით, გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესწავლით გამოიკვეთა, რომ შესაბამის პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ვალდებულებები შინაარსობრივად სრულ თანხვედრაშია სამუშაო აღწერილობებთან.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და მოვალეობების გადანაწილება ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაწესებულების საქმიანობის ორგანიზებულ და თანმიმდევრულ წარმართვას. გასაუბრების პროცესში ასევე დადგინდა, რომ პერსონალი სრულად არის ინფორმირებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია დაწესებულებისს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულებისს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

**3. დაწესებულებაშიში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

მონიტორინგის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები გაწერილია და პასუხისმგებელ სუბიექტებს შორის იმგვარად არის გადანაწილებული, რაც სრულად უზრუნველყოფს შიდა შეფასების სისტემების სანდოობას, პროცესთა გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის №23 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ თანახმად, ხარისხის მართვა განისაზღვრება, როგორც უწყვეტი და დამოუკიდებელი ციკლი; იგი აერთიანებს საქმიანობის მონიტორინგს, შეფასებას, რეკომენდაციების მომზადებას, მიღებული შედეგების ანალიზსა და შემდგომი განვითარების დაგეგმვას.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციონალური დატვირთვა - რაც მოიცავს თვითშეფასების წარმართვას, მონიტორინგს, გაცემული რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციასა და პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევას - დეტალურად არის გაწერილი როგორც სამუშაო აღწერილობებში, ისე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულება პრაქტიკაში ეფექტიანად იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტრუმენტებს. კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმებით ფასდება სწავლა-სწავლების ხარისხი, შეფასების სისტემა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული სერვისები და სტუდენტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის ღონისძიებები. გასაუბრების ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნული გამოკითხვების შევსებული კითხვარები და მათ საფუძველზე მომზადებული ანგარიშები.

ხოლო დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №24 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მიხედვით, ფუნქციები მკვეთრად არის გადანაწილებული:

- **პროფესიული განათლების კოორდინატორი** უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებას, ცხრილების შედგენასა და სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოებას;
- **პროგრამის ხელმძღვანელი** წარმართავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და ამოწმებს სასწავლო გარემოს მზადყოფნას;
- **პროფესიული განათლების მასწავლებლები** უშუალოდ ახორციელებენ სასწავლო და შეფასების პროცესს.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ პასუხისმგებლობათაგან, რაც არსებითად უწყობს ხელს ხარისხის მართვის სისტემის მიუკერძოებელ, ობიექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „პროფესიული საგანმანათლებლო პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ განხორციელებული პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას**

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის, საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსი“, ასევე დაწესებულების შინაგანაწესს. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №25 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისი შიდა რეგულაცია - „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომლითაც დარეგულირებულია პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

შინაგანაწესი ვრცელდება დასაქმებულ პირებზე, პროფესიულ სტუდენტებსა და დაწესებულების სივრცეში მყოფ სხვა პირებზე, სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ჩარჩოს შემადგენელ ნაწილს. ამასთან, შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის ვალდებულება, გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს და გაცნობა დაადასტუროს ხელმოწერით, რაც ხაზს უსვამს შიდა რეგულაციების პრაქტიკულ აღსრულებასა და მათი გამოყენების სავალდებულო ხასიათს.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ პერსონალის შერჩევის, დასაქმების, სამუშაო პროცესის მართვის, შეფასებისა და სხვა თანმდევი პროცედურების განხორციელება დაწესებულებაში მიმდინარეობს სამართლებრივი და შიდა ნორმატიული საფუძვლების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და ორგანიზაციულ მოწესრიგებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია - დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

**2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

მონიტორინგის ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა შერჩევის სტრატეგია და მიმდინარე პროცედურები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რათა გარანტირებული იყოს ვაკანსიებისთვის ჯეროვანი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მოზიდვა და აყვანა მიუკერძოებლობისა და საჯაროობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპების სრული დაცვით. „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ თანახმად, ვაკანსიის გაჩენისას შერჩევის ეტაპები ეყრდნობა კონკრეტული პოზიციისათვის განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება გასაუბრების, ტესტირების ან სხვა შესაბამისი მეთოდოლოგიით.

ზემოაღნიშნული ფაქტორები და გასაუბრების შედეგები მოწმობს, რომ დაწესებულებაში კადრების შერჩევის მექანიზმები რეგულირებულია დოკუმენტურ დონეზე და უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის კადრების მოზიდვისა და დასაქმების სათანადო სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია - დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცესში განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობას კონკრეტული თანამდებობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფილია როგორც ვაკანსიისთვის დადგენილი სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, ისე შერჩევის ეტაპზე კანდიდატთა პროფესიული კომპეტენციებისა და განათლების დოკუმენტური დადასტურებით, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი სახელშეკრულებო დოკუმენტაციის ანალიზით.

„პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, რომლებიც მოიცავს პოზიციისთვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებას, უნარებსა და პიროვნულ მახასიათებლებს. ამასთან, პრიორიტეტულად განიხილება სპეციალობის შესაბამისი განათლება, სამუშაო გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე შერჩეული პერსონალი სრულად შეესაბამება დაკავებული პოზიციებისთვის დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და დოკუმენტურად გაწერილი კრიტერიუმების სრული დაცვით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

**4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

მონიტორინგის ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების პერსონალის მართვის სტრატეგია და შიდაორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი მენეჯმენტისა და გუნდურობის პრინციპებს. „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას, მიუკერძოებლობასა და თანაბარ პირობებს, ხოლო კადრების პროფესიული ზრდის კუთხით ითვალისწინებს როგორც პედაგოგების, ისე ადმინისტრაციული რგოლის საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას.

დოკუმენტი პირდაპირ განსაზღვრავს საქმიანობის შეფასების პროცესში პერსონალის აქტიურ მონაწილეობას, უკუკავშირის მიწოდებასა და ეფექტიანი შიდა კომუნიკაციის არხების გამოყენებას, რაც ხაზს უსვამს მართვის გუნდურ მოდელს. ამასთან, შინაგანაწესი არეგულირებს შრომით პირობებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, წახალისების ფორმებსა და შიდა წესრიგს, რაც ქმნის ურთიერთპასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ სამუშაო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალთან გასაუბრებისა და ზემოაღნიშნული გარემოებები მოწმობს, რომ ორგანიზაციაში არსებული მიდგომები და კულტურა რეალურად უწყობს ხელს თანამშრომელთა გუნდურ ჩართულობას, ღია კომუნიკაციასა და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია - დაწესებულებისს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- შინაგანაწესი
- პერსონალის პირადი საქმე
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 20 იმიტირებული |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | - |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 147 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

მონიტორინგის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა. შემოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართობი სრულად შეესაბამება მოქმედ სტანდარტებსა და რეგულაციებს. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ მიხედვით, აღნიშნული მიმართულებით ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დაწესებულების A, B და C ტიპის სასწავლო გარემო.

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად გამოყოფილია ერთი გაერთიანებული ABC გარემო, სადაც მიმდინარეობს პროფესიული, ინტეგრირებული და დარგობრივი მოდულების სწავლება (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კურსი). გარდა ამისა, სასწავლო პროცესში გამოიყენება სპორტულ-სარეკრეაციო ზონები. მეცადინეობების განრიგი იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ არ აფერხებს ზოგადსაგანმანათლებლო პროცესს.

<u>გადამოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წინა ვიზიტისას ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ამჟამად სრულად აღმოფხვრილია: კერძოდ, შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულება რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებით სრულად არის შესრულებული.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შენობის მესამე სართულზე მოწყობილია სასწავლო აუდიტორია, სადაც განთავსებულია პროფესიულ სტუდენტთა 9 პერსონალური კომპიუტერი, პედაგოგის 1 კომპიუტერი, ინტელექტუალური დაფა, მატერიალური რესურსის შესანახი კარადა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი. ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 2025 წლის მიღების 9 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განმახორციელებლების სიმცირიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს ახალი ნაკადის მიღება არ განხორციელებულა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

დაწესებულებაში დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ სწავლებას ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და ინტეგრირებულ მოდულებზე. პერსონალის საათობრივი ბადე იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო წლის განმავლობაში შეუფერხებლად წარიმართოს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული სწავლების კომპონენტები. რაც შეეხება სპეციალიზებულ (დარგობრივ) მოდულებს, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტებთან. საერთო ჯამში, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია 14 მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი 4 პროფესიული განათლების მასწავლებელია.

პროგრამის სასწავლო გეგმით გადანაწილებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომით კანონმდებლობას. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ და ინტერვიუირება ჩაუტარეს განმახორციელებელ პირებს, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. როგორც გასაუბრებით, ასევე პირადი საქმის შემოწმების ანალიზით დადასტურდა, რომ თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად პასუხობს სტანდარტებით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და სამუშაო აღწერილობას.

ამასთან, წინა ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია (რომელიც უმეტეს მოდულზე მხოლოდ ერთი განმახორციელებლის არსებობას ეხებოდა) ამ ეტაპზე სრულად აღმოფხვრილია: <u>დაწესებულებამ დაამატა დარგობრივი მოდულის კიდევ ერთი განმახორციელებელი. შესაბამისად, პროგრამის დანართით განსაზღვრული პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის.</u>

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე: „პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სათანადო კომპეტენცია როგორც დარგობრივი მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის კუთხით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. **პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №28 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარ-ჩვევები.

აღნიშნული წესის შესაბამისად, მონიტორინგის ვიზიტის საწყის ეტაპზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) ჰყავდა ხელმძღვანელი, რომელსაც დოკუმენტურად არ უდასტურდებოდა შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია. თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელდა საკადრო ცვლილება: დირექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №72 ბრძანებით, პროგრამის ხელმძღვანელად დაინიშნა სათანადო დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლობის, ისე შესაბამის დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, ის ასევე არის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელიც. მასთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

ახალდანიშნულ პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ იგი დეტალურად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ და ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს.


**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია - პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, წინა ვიზიტისგან განსხვავებით, სრულად ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით. აღნიშნული რესურსები განთავსებულია როგორც პედაგოგთა პერსონალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპიუტერებში, ისე პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილ კომპიუტერებში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს საჭიროებისამებრს შეუზღუდავად შეუძლიათ პრინტერი/სკანერის გამოყენება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას გამოხატული აქვს სრული მზაობა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №29 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, რომლითაც განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტით არეგულირებს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურების გაწევის მექანიზმებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულის მოდიფიკაციასა ან/და აკომოდაციას, რაც უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დაზუსტებას. საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება კონკრეტული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

**7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის — „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, პროგრამის ადმინისტრირების, მასალებისა და ნედლეულის შეძენის, ასევე სხვა მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ვაუჩერული დაფინანსების წესით, რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ამასთან, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით.

**ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია - დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ;
2. პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
4. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
5. სკოლის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
6. პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
7. ინტერვიუს შედეგები;
8. ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

☒ **შესაბამება**

☐ მეტწილად შესაბამება

☐ ნაწილობრივ შესაბამება

☐ არ შესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

**08.10. 2026 წ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: